წერილის ნომერი: **18-01232332385**
თარიღი: **21/08/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-01232222921
წერილის თარიღი:	10 აგვისტო, 2023
განმცხადებელი:	გიორგი სიხარულიძე
განაცხადის N	AR1983173
მისამართი	ქ. თბილისი, ლისის ტერიტორია, ლეო კვაჭაძის ქუჩა N17
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	72.16.21.972
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	ოფისი; II კლასი (სავარაუდო კლასი)
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ბრიტანულ ქართული აკადემია“ (ს/ნ: 204497829)
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	სპეციალური ზონა 1 - (სპეცზ-1)
არსებული შეზღუდვები	----------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა ტოპო. გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით, მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით, საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის მანძილების აღნიშვნით ფოტომასალა დიდტანოვანი ნარგავ(ებ)ის გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია გადამრგველი იურიდიული პირის თანხმობა მწვანე ნარგავების გადარგვის შესახებ
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

სამსახურის პოზიცია მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1-ის, 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 მუხლები; 30-ე მუხლის მე-2, მე-7, მე-8, მე-9 პუნქტები; N11-58 დადგენილების 31-ე, 32-ე, 34-ე მუხლები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 ივლისის N5-54 ბრძანება ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

სამსახურის პოზიცია:

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, რაც უზრუნველყოფს ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას, ასევე, მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა და გადარგვის შემდგომ გახარების ალბათობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, სამსახური თანახმაა, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით გასცეს საპროექტო შენობის არეალში განთავსებული 10 ძირი მწვანე ნარგავის (N26 ჩვეულებრივი ფიჭვი - 20სმ, N27 ცრუ აკაცია - 25სმ, N28 ლეილანდის ხამეციპარისი - **26სმ,** N29 მარადმწვანე კვიპაროსი - 16სმ, N30 ჰიმალაის კედარი - **26სმ,** N31 ნეკერჩხალი ვერცხლის (შაქრის) - **35სმ,** N32 ნეკერჩხალი ვერცხლის (შაქრის) - 25სმ, N33 მუხა ყუნწიანი - 10სმ, N35 მარადმწვანე კვიპაროსი - 17სმ, N36 ცრუ აკაცია - 24სმ) **იმავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, როდესაც დაინტერესებული პირი გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვას, გადარგვის საბოლოო ნებართვის მისაღებად.**

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციისას, ასევე, იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული)**.

მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან, ყვავილებთან მიმართებით.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან **(გარდა, კვიპაროსის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით -**20-25 კვ. მეტრი** 1 ძირი დიდი ვარჯის მქონე ხისთვის. ხოლო 1 ძირი მცირე ზომის ვარჯის მქონე ხისთვის **10-12 კვ.მ.**

საპროექტო ტერიტორიაზე უნდა დაირგას სამსახურის მიერ განსაზღვრული პარამეტრების

მქონე ნერგები:

ხის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში, სწორი ფორმის მქონე მთავარი ღეროთი. მარადმწვანე ხეები (როგორც წიწვოვანი ასევე, ფოთლოვანი) დაფესვიანებული შესაბამისი ზომის კონტეინერში არანაკლებ 65 ლიტრი (CLT).
წიწვოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში (გარდა იტალიური ფიჭვისა, მასზე ვრცელდება ფოთლოვანი ხეების პარამეტრები), ნერგის სიმაღლე არანაკლებ 3 მ; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა (CIRC) არანაკლებ 0,16 მ., ფესვის ყელიდან 0,1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული; ქოთანში დაფესვიანებული; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს ფესვის ყელიდან არაუმეტეს 0,25 მ. სიმაღლეზე.
ფოთლოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში, ნერგის სიმაღლე 3.5 მ.; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა (CIRC) არანაკლებ 0,18 მ. ფესვის ყელიდან 1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1,8 მ. სიმაღლეზე; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.

განსათვალისწინებელი წინაპირობა

წინამდებარე დოკუმენტი ადმინისტრაციული დაპირებაა. მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



სპოლის არსებული შენობა

არსებული დახურული სპორტული დარბაზის შენობა

საპროექტო შენობის განთავსების ლაქა

პროექტით მოთხოვნილი გადასარგავი ხეები:
N 26;27;28;29;30;31;32;33;36;35

0 0.5 1 2 2.5m

პროექტის ავტორი:

33/44

შენიშვნა:

ექსპლიკაცია:

რევიზია

N	თარიღი	აღწერა

დამკვეთი:

ბრიტანულ-ქართული აკადემია

ახალი ადმინისტრაციული ბლოკი

2023001BGA

ლეო კვაჭაძის ქ. N17

დაამტკიცა	მასშტაბი	ზომა
	1 : 500	A1

ნახაზის სტატუსი

სქემატური პროექტი

პროექტი მოამზადა:

სახელი

33-44

ნახაზის დასახელება

მიწის ნაკვეთზე შენობის განთავსების სქემა

ფურცლის ნომერი	რევიზია
SD-A-1-101	

Developed by 33-44

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
გარემოს დაცვის სამსახურის უფროსს,
შპს " ბრიტანულ-ქართული აკადემია"
(ს/კ 204 497 829)
დირექტორს ნათია ჯანაშიას
დამოუკიდებელი ექსპერტის, ანა გოგოლაძის
(პ/ნ 54001000468)

დიდტანოვანი (D-ი მეტია 25 სმ-ზე) ხეების გადარგვის პროექტი



თარიღი: 07.08.2023 წ

ზოგადი ნაწილი

შპს „გრინტექნოს“ (ს/კ 405412432) და ჩემს, ფ/პ ანა გოგოლაძე (პ/ნ 54001000468), შორის 2021 წლის 1 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების და შპს „გრინტექნოს“ და შპს „ბრიტანულ ქართული აკადემია“ (ს/კ 204 497 829) შორის, 2023 წლის 5 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და დამკვეთის მომართვის ჩემს მიერ მომზადებული იქნა 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-ნარგავების გადარგვის ინდივიდუალური ტექნიკური დოკუმენტაცია..

დამკვეთის, შპს „ბრიტანულ ქართული აკადემიას“ (ს/კ 204 497 829) მოთხოვნით, 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-ნარგავების გადარგვის ინდივიდუალური ტექნიკური დოკუმენტაცია შემუშავებული იქნა 5 დიდტანიან ხეზე. ამ ხეებს მინიჭიებული აქვს ნუმერაცია N27; 28; 30; 31;32 ზემოთ ჩამოთვლილი ხეები ჯანმრთელი ხეებია, ექვემდებარებიან გადარგვას და რადგან ისინი წარმოადგენენ დიდტანოვან ხეებს, ამიტომ მათი გადარგვა უნდა მოხდეს სპეციალური მეთოდოლოგიის მიხედვით.

აღნიშნული ხე-ნცენარეები გადაირგვება იმავე საკადასტრო ერთეულში აღნიშნული ხე-მცენარეები წარმოადგენენ დიდ ტანოვან ხეებს (D>25სმ-ზე) და მათი გადარგვა შესაძლებელია მხოლოდ სპეცტექნიკის გამოყენებით და შესაბამისი აგრონომიული ღონისძიებების გათვალისწინებით. გადარგვა უნდა მოხდეს უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით.

დამკვეთივეს მოთხოვნით ანალოგიური დოკუმენტაცია შემუშავებული იქნა კიდევ 5 ხეზე (N26; 29; 33; 35; 36) , რომელთა დიამეტრი არ აღემატება 25 სმ-ს, მაგრამ დამკვეთის მოთხოვნით მათი გადარგვის სამუშაოები შესრულდეს აღნიშნული სპეციალური მეთოდოლოგიის გამოყენებით.



დიდ ტანიანი (D-ი მეტია 25 სმ-ზე) ხეების გადარგვის ზოგადი მეთოდოლოგიური აღწერა

ხე-მცენარის ამოღება:

1. ხის ირგვლივ მიწის მოთხრა და კომის გამოყოფა ნიადაგიდან უნდა მოხდეს სპეცტექნიკის (ექსკავატორი) საშუალებით. ხის ფიქსირება სპეცტექნიკის მუშაობისას და შემდეგ მისი ამოღება უნდა განხორციელდეს სპეციალური ამწე მოწყობილობებით (ამწე კრანი, ამწე კალათა), რადგან კომი დაცული იქნას მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისაგან, ჩაბმის ადგილზე ხეს უნდა შემოეხვიოს სქლად ჯვალოს ტილო.
2. ამოღებული ხის კომის ზომა უნდა განისაზღვროს ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის 5-10-მაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე 1 -1,7 მდე
3. ხემცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს მისი კომის ფიქსირება იმ საშუალებებით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ხემცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში;
4. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე; ღია ფესვთა სისტემა დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს ჯვალოს მატერიით, ან სპეციალური ბადით; მიწის გუნდას გარეთ გამოსული ფესვები საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიკვეცოს.
7. დიდ მანძილზე ტრანსპორტირების შემთხვევაში ამოღებული ხის ტრანსპორტირების შემთხვევაში ჯვალოში ან ბადეში შეფუთულ კომს უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის სხვადასხვა კონსტრუქციები, სპეციალური დასაშლელი ვაზონები, ჭილობი, ბრეზენტი და ა.შ.);
8. მიწის კომის შეფუთვის შემდეგ ხის ღეროზე აკეთებენ სპეციალურ შალითას, რომელიც დამზადებული შეიძლება იყოს ქეჩის, ბრეზენტის ან ტყავისაგან. ასეთი შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამის დაცვა შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისაგან;
8. ფოთლოვანი ხეების გადარგვამდე უნდა მოხდეს განშტოებების გადაბელვა ან მისი გადაბელვა მთლიან ვარჯზე, მის ნაწილზე ძლიერი ტოტების შემოკლება ან მთლიანად მოშორება, წიწვოვანი ხე-მცენარეების შემთხვევაში ხდება მხოლოდ დაბლითა განივი ტოტების შეკვეცა.
მარადმწვანე დიდტანიანი ხის გადარგვისას, შემოსაჭრელ-ამოსაღები კომის დიამეტრი კორელაციაშია ხის ვარჯის განფენილობასთან (ტოტების სიგანესთან), ჩასარგავი ორმოს დიამეტრი უნდა იყოს 50-100%-ით განიერი მოჭრილ მიწიან ფესვ-ბურთზე და იმავე სიღრმის. გადარგვისთანავე შეივსება მიწით და მოირწყვება.
9. კომის ამოჭრამდე შეკარით ტოტები, რომ ხელი არ შეეშალოს ტრანსპორტირებას და მონიშნეთ ღეროზე ჩრდილო მხარე, რომ გადარგვისას იმავე ორიენტაციის განსაზღვრაში დაგეხმაროთ. ფესვ-ბურთი ჩაიჭრება 45 გრადუსით, და შემდეგ ძირი ჩაეჭრება ბასრი ბარით.
10. ფესვის კომი ინამება, მისი გარე ნაწილი ჩამოირეცხება წყლით, რომ ფესვთა ნაწილი გამოჩნდეს. დასარგავ ორმოში ნიადაგქვეშა მიწას ისე ვყრით, რომ გადარგულის მიწისპირა დონე გაუთანაბრდეს დასარგავ მიწის დონეს (მნიშვნელოვანია დაბლა არ აღმოჩნდეს „დაჯდომის“ შემდეგ, რაც იწვევს ლპობას). შემდეგ ნახევრამდე ვავსებთ ნიადაგით, მივტკეპნით და ვრწყავთ, რომ ჰაერის ჯიბები არ დარჩეს, შემდეგ ვაგრძელებთ ბოლომდე შევსებასა და მორწყვას, და ვაფორმირებთ ჯამს.
11. რამოდენიმე საწყისი კვირის განმავლობაში რეგულარულად ირწყვება სინესტის უზრუნველსაყოფად, მაგრამ არა გაჯირჯვებამდე. სასურველია 5-8 სმ მულჩის ფენის გაკეთება, ისე რომ მულჩი ღეროსთან შეხებაში არ იყოს. ეს ტენს შეუნაჩუნებს.

ხე-მცენარის გადარგვა:

1. გადასარგავ ადგილზე წინასწარ უნდა იქნას ამოღებული ორმო;
2. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
3. 10 – 13 მეტრის და 6-7 ტონის საერთო მასის მქონე ხე-ნარგავის გადატანა შესაძლო ამწიანი მანქანით, დაფიქსირებულ მდგომარეობაში მცირე მანძილზე (100-250) მეტრი,; ხოლო დიდ მანძილზე გადატანა უნდა მოხდეს სპეციალური ლაფეტით.

4. 13 მეტრზე მეტი და 7 ტონაზე მეტი წონის საერთო მასის მქონე ხე-ნარგავის გადატანა უნდა მოხდეს სპეციალური ლაფეტით.
4. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწეს (სპეცტექნიკის) გამოყენებით, ისე რომ ხის კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან;
4. ნარგავი უნდა დაირგოს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველთან მინიმუმ 3 მ დაშორებით.
5. ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
6. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით; თითოეულ ორმოში წინასწარ უნდა იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა).
 7. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
8. ჩაირგოს ორმოში ისე, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და აიკრას საყრდენზე (ჭიგო, სარი, ხარდანი) ან გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან.
10. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
11. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
12. წიწვოვანი ხეების გადარგვისას გასათვალისწინებელია ტოტების განლაგება მოხდეს ისე, როგორც იყო გადარგვამდე (ჩრდილოეთის მხარეს მდებარე ტოტები ისევ ჩრდილოეთით უნდა განლაგდეს).
13. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
14. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.
15. ხეების გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგატაციო პერიოდში და შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის თანხმობის საფუძველზე

ხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა:

 1. ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
2. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება-განახლება;
4. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;
5. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
6. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
7. განსაკუთრებით ინტენსიური რწყვაა სჭირო მცენარეებზე ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. ამიტომ ინტენსიური მორწყვა უნდა დაიწყოს მაისის თვიდან. თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს.
8. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
9. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ - დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
10. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა-ფორმირების სამუშაოები. მოვლა-პატრონობის სამუშაოები უნდა ჩატარდეს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში.
11. ამ ყველა წესის დაცვა სავალდებულოა ხე-მცენარეების შემდგომი გახარებისთვის.

შრომის უსაფრთხოება

გადარგვის სამუშაოების დაწყებამდე სავალდებულოა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ შედგენილი იქნეს სამუშაოს წარმოების დეტალური გეგმა და სამუშაოთა რისკის შეფასების დოკუმენტი; ჩატარებული იქნეს გადარგვის პროცესში მონაწილე თანამშრომლების სწავლება შრომის უსაფრთხოების მიმართულებით და შედგენილი იქნეს შესაბამისი სწავლების ოქმი.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის და გადამრგავი კომპანიის სპეციალისტების მიერ დაანგარიშებული უნდა იქნეს გადასარგავი ხის და კომის წონა და ამის მიხედვით შეირჩეს სპეცტექნიკის პარამეტრები.

ტვირთის სავარაუდო წონა იანგარიშება ხის, როგორც ცილინდრული სხეულის მოცულობის საანგარიშო ფორმულით $V1=\pi r2h$, ხოლო 1 კუბი ხე-მცენარის კუთრი წონა საშუალოდ 600 კგ-ი. და ამოღებული კომის როგორც მართკუთხა პრიზმის მოცულობის საანგარიშო ფორმულით $V2=l\cdot w\cdot h$, ხოლო 1 კუბი მიწის კუთრი წონა, 50/33%-იანი ტენიანობით, საშუალოდ 1200 კგ.

დიდტანიანი (D-ი მეტია 25 სმ-ზე) ხეების

გადარგვის ინდივიდუალური ტექნიკური დოკუმენტაცია

1. N 27 ცრუაკაცია , რობინია, ეკლის ხე Robinia pseudoacacia
D= 25 სმ H=7.5 მ



ფოთლოვანი ხის, N27 ცრუაკაცია , რობინია, ეკლის ხე Robinia pseudoacacia, გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს სპეცტექნიკა.

გადარგვამდე უნდა მოხდეს ხის ირგვლივ სამუშაოების ჩასატარებლად ადგილის განთავისუფლება.

გადარგვამდე უნდა მოხდეს განშტოებების გადაბელვა ან მისი გადაბელვა მთლიან ვარჯზე, მის ნაწილზე ძლიერი ტოტების შემოკლება ან მთლიანად მოშორება. გადაბელვის დროს გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ამწე-კალათა.

გადარგვის დროს ხის ირგვლივ, სპეცტექნიკით უნდა მოიჭრას ნიადაგის გუნდი (კომი), რომლის დიამეტრი იქნება ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 8-10-მაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე 0,8-1 მეტრამდე, რადგან აღნიშნულ ხე-მცენარეს აქვს ზედაპირული ფუნჯა სისტემა. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი და იყოს კონუსური ფორმის. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა

გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა.

ხის ამოღება უნდა მოხდეს სპეცტექნიკით (ექსკავატორი) და ხის ტანზე თოკის ჩაბმის ადგილი დაცული უნდა იყოს ჯვალოს ან თექის ნაჭრით, ხის ტანზე თოკი უნდა დამაგრდეს ამწე კალათის მეშვეობით. ამოღებული კომი უნდა შეიფუთოს ჯვალოში ან ბადეში, რომ არ მოხდეს მისი დაშლა. რადგან ხის გადარგვა არ ხდება დიდ მანძილზე (არაუმეტეს 100-250მ) , ამ შემთხვევაში არ არის საჭირო ჯვალოში შეფუთულ კომს გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია.

ხის ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი; ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით. ხე ისე უნდა ჩაირგოს ორმოში, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან. ხის ჩარგვის შემდეგ ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი, დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სახის ტექნიკა: ექსკავატორი, სპეციალური ამწე კალათა, ამწე კრანი, ამწიანი სატვირთო ავტომობილი.



2. N28 ლეილანდის ხამეციპარისი Cupressocypar is leylandii
D= 26 სმ H=8მ



წიწვოვანი ხის, N28 ლეილანდის ხამეციპარისი Cupressocypar is leylandii, გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს სპეცტექნიკა.

გადარგვამდე უნდა მოხდეს ხის ირგვლივ სამუშაოების ჩასატარებლად ადგილის განთავისუფლება.

გადარგვის დროს ხის ირგვლივ, უნდა მოიჭრას ნიადაგის გუნდი (კომი), რომლის დიამეტრი იქნება ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 5-მაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე 0,8-1 მეტრამდე, რადგან აღნიშნულ ხე-მცენარეს აქვს ზედაპირული ფუნჯა სისტემა. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი და იყოს კონუსური ფორმის. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა.

ხის ამოღება უნდა მოხდეს სპეცტექნიკით (ექსკავატორი) და ხის ტანზე თოკის ჩაბმის ადგილი დაცული უნდა იყოს ჯვალოს ან თექის ნაჭრით, ხის ტანზე თოკი უნდა დამაგრდეს ამწე კალათის მეშვეობით. ამოღებული კომი უნდა შეიფუთოს ჯვალოში ან ბადეში, რომ არ მოხდეს მისი დაშლა. რადგან ხის გადარგვა არ ხდება დიდ მანძილზე (არაუმეტეს 100-250მ) , ამ შემთხვევაში არ არის საჭირო ჯვალოში შეფუთულ კომს გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია.

ხის ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი; ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით. ხე ისე უნდა ჩაირგოს ორმოში, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან.

ხის ჩარგვის შემდეგ ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი, დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სახის ტექნიკა: ექსკავატორი, სპეციალური ამწე კალათა, ამწე კრანი, ამწიანი სატვირთო ავტომობილი.



3. N30 ჰიმალაის კედარი Cedrus deodara
D= 26 სმ H=7 მ



წიწვოვანი ხის, N30 ჰიმალაის კედარი Cedrus deodara, გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს სპეცტექნიკა.

გადარგვამდე უნდა მოხდეს ხის ირგვლივ სამუშაოების ჩასატარებლად ადგილის განთავისუფლება. გადარგვის დროს ხის ირგვლივ, უნდა მოიჭრას ნიადაგის გუნდი (კომი), რომლის დიამეტრი იქნება ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 5-მაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე 0,8-1 მეტრამდე, რადგან აღნიშნულ ხე-მცენარეს აქვს ზედაპირული ფუნჯა სისტემა. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი და იყოს კონუსური ფორმის. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა.

ხის ამოღება უნდა მოხდეს სპეცტექნიკით (ექსკავატორი) და ხის ტანზე თოკის ჩაბმის ადგილი დაცული უნდა იყოს ჯვალოს ან თექის ნაჭრით, ხის ტანზე თოკი უნდა დამაგრდეს ამწე კალათის მეშვეობით. ამოღებული კომი უნდა შეიფუთოს ჯვალოში ან ბადეში, რომ არ მოხდეს მისი დაშლა.

რადგან ხის გადარგვა არ ხდება დიდ მანძილზე (არაუმეტეს 100-250მ) , ამ შემთხვევაში არ არის საჭირო ჯვალოში შეფუთულ კომს გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია.

ხის ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი; ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით. ხე ისე უნდა ჩაირგოს ორმოში, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან.

ხის ჩარგვის შემდეგ ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი, დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სახის ტექნიკა: ექსკავატორი, სპეციალური ამწე კალათა, ამწე კრანი, ამწიანი სატვირთო ავტომობილი.



4. **N31 ნეკერჩხალი ვერცხლის (შაქრის) Acer saccharinum D= 35 სმ H=9.5 მ**



ფოთლოვანი ხის, N31 ნეკერჩხალი ვერცხლის (შაქრის) Acer saccharinum, გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს სპეცტექნიკა.

გადარგვამდე უნდა მოხდეს ხის ირგვლივ სამუშაოების ჩასატარებლად ადგილის განთავისუფლება.

გადარგვამდე უნდა მოხდეს განშტოებების გადაბელვა ან მისი გადაბელვა მთლიან ვარჯზე, მის ნაწილზე ძლიერი ტოტების შემოკლება ან მთლიანად მოშორება. გადაბელვის დროს გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ამწე-კალათა.

გადარგვის დროს ხის ირგვლივ, სპეცტექნიკით უნდა მოიჭრას ნიადაგის გუნდი (კომი), რომლის დიამეტრი იქნება ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 8-10-მაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე 0,8-1 მეტრამდე, რადგან აღნიშნულ ხე-მცენარეს აქვს ზედაპირული ფუნჯა სისტემა.

სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი და იყოს კონუსური ფორმის. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა.

ხის ამოღება უნდა მოხდეს სპეცტექნიკით (ექსკავატორი) და ხის ტანზე თოკის ჩაბმის ადგილი დაცული უნდა იყოს ჯვალოს ან თექის ნაჭრით, ხის ტანზე თოკი უნდა დამაგრდეს ამწე კალათის მეშვეობით. ამოღებული კომი უნდა შეიფუთოს ჯვალოში ან ბადეში, რომ არ მოხდეს მისი დაშლა. რადგან ხის გადარგვა არ ხდება დიდ მანძილზე (არაუმეტეს 100-250მ) , ამ შემთხვევაში არ არის საჭირო ჯვალოში შეფუთულ კომს გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია.

ხის ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი; ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით. ხე ისე უნდა ჩაირგოს ორმოში, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან. ხის ჩარგვის შემდეგ ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი, დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სახის ტექნიკა: ექსკავატორი, სპეციალური ამწე კალათა, ამწე კრანი, ამწიანი სატვირთო ავტომობილი.



5. N32 ნეკერჩხალი ვერცხლის (შაქრის) Acer saccharinum D=25 სმ H=5 მ



ფოთლოვანი ხის, N31 ნეკერჩხალი ვერცხლის (შაქრის) Acer saccharinum, გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს სპეცტექნიკა.

გადარგვამდე უნდა მოხდეს ხის ირგვლივ სამუშაოების ჩასატარებლად ადგილის განთავისუფლება.

გადარგვამდე უნდა მოხდეს განშტოებების გადაბელვა ან მისი გადაბელვა მთლიან ვარჯზე, მის ნაწილზე ძლიერი ტოტების შემოკლება ან მთლიანად მოშორება. გადაბელვის დროს გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ამწე-კალათა.

გადარგვის დროს ხის ირგვლივ, სპეცტექნიკით უნდა მოიჭრას ნიადაგის გუნდი (კომი), რომლის დიამეტრი იქნება ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 8-10-მაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე 0,8-1 მეტრამდე, რადგან აღნიშნულ ხე-მცენარეს აქვს ზედაპირული ფუნჯა სისტემა. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი და იყოს კონუსური ფორმის. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა.

ხის ამოღება უნდა მოხდეს სპეცტექნიკით (ექსკავატორი) და ხის ტანზე თოკის ჩაბმის ადგილი დაცული უნდა იყოს ჯვალოს ან თექის ნაჭრით, ხის ტანზე თოკი უნდა დამაგრდეს ამწე კალათის მეშვეობით. ამოღებული კომი უნდა შეიფუთოს ჯვალოში ან ბადეში, რომ არ მოხდეს მისი დაშლა. რადგან ხის გადარგვა არ ხდება დიდ მანძილზე (არაუმეტეს 100-250მ) , ამ შემთხვევაში არ არის საჭირო ჯვალოში შეფუთულ კომს გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია.

ხის ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი; ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით. ხე ისე უნდა ჩაირგოს ორმოში, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან. ხის ჩარგვის შემდეგ ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი, დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სახის ტექნიკა: ექსკავატორი, სპეციალური ამწე კალათა, ამწე კრანი, ამწიანი სატვირთო ავტომობილი.



6. **ფიჭვი ჩვეულებრივი Pinus sylvestris D= 20 სმ H=4 მ**



წიწვოვანი ხის, N26 ფიჭვი ჩვეულებრივი Pinus sylvestris, გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს სპეცტექნიკა.

გადარგვამდე უნდა მოხდეს ხის ირგვლივ სამუშაოების ჩასატარებლად ადგილის განთავისუფლება. გადარგვის დროს ხის ირგვლივ, უნდა მოიჭრას ნიადაგის გუნდი (კომი), რომლის დიამეტრი იქნება ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 5-მაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე 0,8-1 მეტრამდე, რადგან აღნიშნულ ხე-მცენარეს აქვს ზედაპირული ფუნჯა სისტემა. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი

ვიდრე გადასარგავი ხის კომი და იყოს კონუსური ფორმის. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა.

ხის ამოღება უნდა მოხდეს სპეცტექნიკით (ექსკავატორი) და ხის ტანზე თოკის ჩაბმის ადგილი დაცული უნდა იყოს ჯვალოს ან თექის ნაჭრით, ხის ტანზე თოკი უნდა დამაგრდეს ამწე კალათის მეშვეობით. ამოღებული კომი უნდა შეიფუთოს ჯვალოში ან ბადეში, რომ არ მოხდეს მისი დაშლა. რადგან ხის გადარგვა არ ხდება დიდ მანძილზე (არაუმეტეს 100-250მ) , ამ შემთხვევაში არ არის საჭირო ჯვალოში შეფუთულ კომს გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია.

ხის ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი; ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით. ხე ისე უნდა ჩაირგოს ორმოში, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან.

ხის ჩარგვის შემდეგ ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი, დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სახის ტექნიკა: ექსკავატორი, სპეციალური ამწე კალათა, ამწე კრანი, ამწიანი სატვირთო ავტომობილი.



7. **N29 მარადმწვანე კვიპაროსი Cupressus sempervirens** D= 16 სმ H=8 მ



წიწვოვანი ხის, N29 მარადმწვანე კვიპაროსი Cupressus sempervirens, გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს სპეცტექნიკა.

გადარგვამდე უნდა მოხდეს ხის ირგვლივ სამუშაოების ჩასატარებლად ადგილის განთავისუფლება. გადარგვის დროს ხის ირგვლივ, უნდა მოიჭრას ნიადაგის გუნდი (კომი), რომლის დიამეტრი იქნება ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 5-მაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე 0,8-1 მეტრამდე, რადგან აღნიშნულ ხე-მცენარეს აქვს ზედაპირული ფუნჯა სისტემა. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი და იყოს კონუსური ფორმის. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა.

ხის ამოღება უნდა მოხდეს სპეცტექნიკით (ექსკავატორი) და ხის ტანზე თოკის ჩაბმის ადგილი დაცული უნდა იყოს ჯვალოს ან თექის ნაჭრით, ხის ტანზე თოკი უნდა დამაგრდეს ამწე კალათის მეშვეობით. ამოღებული კომი უნდა შეიფუთოს ჯვალოში ან ბადეში, რომ არ მოხდეს მისი დაშლა. რადგან ხის გადარგვა არ ხდება დიდ მანძილზე (არაუმეტეს 100-250მ) , ამ შემთხვევაში არ არის საჭირო ჯვალოში შეფუთულ კომს გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია.

ხის ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი; ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით. ხე ისე უნდა ჩაირგოს ორმოში, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან.

ხის ჩარგვის შემდეგ ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი, დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სახის ტექნიკა: ექსკავატორი, სპეციალური ამწე კალათა, ამწე კრანი, ამწიანი სატვირთო ავტომობილი.



8. N33 მუხა ყუნწიანი (ევროპული) Quercus robur D=10 სმ H=4 მ



ფოთლოვანი ხის, N33 მუხა ყუნწიანი (ევროპული) Quercus robur გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს სპეცტექნიკა.

გადარგვამდე უნდა მოხდეს ხის ირგვლივ სამუშაოების ჩასატარებლად ადგილის განთავისუფლება.

გადარგვამდე უნდა მოხდეს განშტოებების გადაბელვა ან მისი გადაბელვა მთლიან ვარჯზე, მის ნაწილზე ძლიერი ტოტების შემოკლება ან მთლიანად მოშორება. გადაბელვის დროს გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ამწე-კალათა.

გადარგვის დროს ხის ირგვლივ, სპეცტექნიკით უნდა მოიჭრას ნიადაგის გუნდი (კომი), რომლის დიამეტრი იქნება ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 8-10-მაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე 0,8-1 მეტრამდე, რადგან აღნიშნულ ხე-მცენარეს აქვს ზედაპირული ფუნჯა სისტემა. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი და იყოს კონუსური ფორმის. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა

გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა.

ხის ამოღება უნდა მოხდეს სპეცტექნიკით (ექსკავატორი) და ხის ტანზე თოკის ჩაბმის ადგილი დაცული უნდა იყოს ჯვალოს ან თექის ნაჭრით, ხის ტანზე თოკი უნდა დამაგრდეს ამწე კალათის მეშვეობით. ამოღებული კომი უნდა შეიფუთოს ჯვალოში ან ბადეში, რომ არ მოხდეს მისი დაშლა. რადგან ხის გადარგვა არ ხდება დიდ მანძილზე (არაუმეტეს 100-250მ) , ამ შემთხვევაში არ არის საჭირო ჯვალოში შეფუთულ კომს გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია.

ხის ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი; ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით. ხე ისე უნდა ჩაირგოს ორმოში, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან. ხის ჩარგვის შემდეგ ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი, დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სახის ტექნიკა: ექსკავატორი, სპეციალური ამწე კალათა, ამწე კრანი, ამწიანი სატვირთო ავტომობილი.



9. **N35 მარადმწვანე კვიპაროსი Cupressus sempervirens** D= 17 სმ H=8,5 მ



წიწვოვანი ხის, N35 მარადმწვანე კვიპაროსი Cupressus sempervirens, გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს სპეცტექნიკა.

გადარგვამდე უნდა მოხდეს ხის ირგვლივ სამუშაოების ჩასატარებლად ადგილის განთავისუფლება. გადარგვის დროს ხის ირგვლივ, უნდა მოიჭრას ნიადაგის გუნდი (კომი), რომლის დიამეტრი იქნება ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 5-მაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე 0,8-1 მეტრამდე, რადგან აღნიშნულ ხე-მცენარეს აქვს ზედაპირული ფუნჯა სისტემა. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი

ვიდრე გადასარგავი ხის კომი და იყოს კონუსური ფორმის. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა.

ხის ამოღება უნდა მოხდეს სპეცტექნიკით (ექსკავატორი) და ხის ტანზე თოკის ჩაბმის ადგილი დაცული უნდა იყოს ჯვალოს ან თექის ნაჭრით, ხის ტანზე თოკი უნდა დამაგრდეს ამწე კალათის მეშვეობით. ამოღებული კომი უნდა შეიფუთოს ჯვალოში ან ბადეში, რომ არ მოხდეს მისი დაშლა. რადგან ხის გადარგვა არ ხდება დიდ მანძილზე (არაუმეტეს 100-250მ) , ამ შემთხვევაში არ არის საჭირო ჯვალოში შეფუთულ კომს გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია.

ხის ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი; ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით. ხე ისე უნდა ჩაირგოს ორმოში, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან.

ხის ჩარგვის შემდეგ ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი, დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სახის ტექნიკა: ექსკავატორი, სპეციალური ამწე კალათა, ამწე კრანი, ამწიანი სატვირთო ავტომობილი.



10. N35 მარადმწვანე კვიპაროსი ფ.პირამიდული Cupressus sempervirens D=24 სმ H=10 მ



ფოთლოვანი ხის, N35 მარადმწვანე კვიპაროსი ფ.პირამიდული Cupressus sempervirens გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს სპეცტექნიკა.

გადარგვამდე უნდა მოხდეს ხის ირგვლივ სამუშაოების ჩასატარებლად ადგილის განთავისუფლება.

გადარგვამდე უნდა მოხდეს განშტოებების გადაბელვა ან მისი გადაბელვა მთლიან ვარჯზე, მის ნაწილზე ძლიერი ტოტების შემოკლება ან მთლიანად მოშორება. გადაბელვის დროს გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ამწე-კალათა.

გადარგვის დროს ხის ირგვლივ, სპეცტექნიკით უნდა მოიჭრას ნიადაგის გუნდი (კომი), რომლის დიამეტრი იქნება ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 8-10-მაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე 0,8-1 მეტრამდე, რადგან აღნიშნულ ხე-მცენარეს აქვს ზედაპირული ფუნჯა სისტემა. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი და იყოს კონუსური ფორმის. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა.

ხის ამოღება უნდა მოხდეს სპეცტექნიკით (ექსკავატორი) და ხის ტანზე თოკის ჩაბმის ადგილი დაცული უნდა იყოს ჯვალოს ან თექის ნაჭრით, ხის ტანზე თოკი უნდა დამაგრდეს ამწე კალათის მეშვეობით. ამოღებული კომი უნდა შეიფუთოს ჯვალოში ან ბადეში, რომ არ მოხდეს მისი დაშლა. რადგან ხის გადარგვა არ ხდება დიდ მანძილზე (არაუმეტეს 100-250მ) , ამ შემთხვევაში არ არის საჭირო ჯვალოში შეფუთულ კომს გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია.

ხის ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი; ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით. ხე ისე უნდა ჩაირგოს ორმოში, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან. ხის ჩარგვის შემდეგ ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი, დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სახის ტექნიკა: ექსკავატორი, სპეციალური ამწე კალათა, ამწე კრანი, ამწიანი სატვირთო ავტომობილი.



ზემოთ მოცემული მეთოდოლოგიის და ტექნიკური პირობების დაცვა სავალდებულოა ხე-მცენარეების შემდგომი გახარებისთვის.

07.08.2023
დამოუკიდებელი ექსპერტი ანა გოგოლაძე
(პ/ნ 54001000468)







08 აგვისტო 2023 წ.
შპს " ბრიტანულ-ქართული აკადემიას" (ს/კ 204497829)
დირექტორს ნათია ჯანაშიას

თანხმობა მომსახურების გაწევაზე

მოგახსენებთ, რომ შპს „გრინტექნოს“ ყავს დიდ ტანიანი ხე-ნარგავების გადარგვისთვის საჭირო შესაბამისი სპეცტექნიკა (იხ. იჯარის ხელშეკრულება N01-2 21.01.2021წ. შპს „სამრეწველო და ინდსერვისი“) და გააჩნია სამუშაო გამოცდილება, რათა აწარმოოს მსგავსი ხე-ნარგავების გადარგვითი სამუშაოები.

თქვენთან, შპს " ბრიტანულ-ქართული აკადემია" (ს/კ 204497829), ზეპირი შეთანხმების და დამოუკიდებელი ექსპერტის ანა გოგოლაძის მიერ გადასარგავი ხე-მცენარეებისათვის ინდივიდუალურად შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე, შპს „გრინტექნო“ გაძლევთ წინასწარ თანხმობას, რომ ის შეასრულებს იმ 10 (ათი) ძირი ხე-მცენარის გადარგვის სამუშაოებს, რომლებზეც წარმოდგენილია გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია

სამუშაოები შესრულდება შპს " ბრიტანულ-ქართული აკადემია" (ს/კ 204497829), მიერ მითითებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ქალაქ თბილისი, ლისის ტერიტორია; ქალაქი თბილისი, ქუჩა ლეო კვაჭაძე, №17. ს/კ 72.16.21.972

დიდი ზომის ხეების გადარგვა მოხდება არასავეგეტაციო პერიოდში, ექსპერტის მიერ მითითებული აგრონომიული წესების და შრომითი უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. გადარგული ხე-მცენარეების პირველადი მორწყვა მოხდება ადგილზე არსებული წყლის ონკანის ან წყლის მანქანის საშუალებით.

შპს „გრინტექნო“
ს.კ.: 405412432
ხელმომწერი პირი:
თინათინ ორჯონიკიძე



საკონტაქტო პირი: 599 077133 გოგი ლორთიქფანიძე